

*
* *
*

რაც არ იწვის, არ ანათებს, -
უჩინარად ლპება ნელა.
მოდით, დამწვი, სიყვარულო,
მიაშუქე სადაც ბნელა!

ერთი წამიც კი სიცოცხლის,
თუ სხივების მომფენია,
უსინათლოს და უგრძნობელს
საუკუნეს მირჩევნია.

მართალია, მთას რომ დასთოვს,
თან სიგრილვე ბარში დაჰკრავს!
თავზე თეთრი, თმა ჭაღარა
გულს აგრილებს, გრძნობას სჩაგრავს;

მაგრამ ადგილს, ცეცხლის მფშვენელს,
სადაც სდაგავს გენია,
ეს კანონი საზოგადო
თავიდანვე ასცდენია.

პოეტის გულის, გახურვებულს,
სადაც ელავს, ღელავს გრძნობა,
რას მოუშლის თმა ჭაღარა?
რას დააკლებს ხნოვანება?

მრწამს სიწმინდე სიყვარულის
ისევ ისე, როგორც ძველად,
და გულს ვუგებ საკურთხევლად,
ზედ სიცოცხლის დასაწველად!

თუმცა ეს მსხვერპლი საიდუმლო
საიდუმლოდ იწვის, ქრება,
მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც
არის დიდი ნეტარება...

1898 წ.